შეტყობინება სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ალფა ექსპრესის აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების მოწვევის შესახებ

2024 წლის 27 მაისი

სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ალფა ექსპრესი (იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ვაკის რაიონი, ფალიაშვილის ქ. #53. ბინა 2; საიდენტიფიკაციო ნომერი: 202340984) გატყობინეთ, რომ სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ალფა ექსპრესის (შემდგომში - საზოგადოება) აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრება ჩატარდება 2024 წლის 19 ივნისს, თბილისის დროით 12:00 საათზე, საზოგადოების იურიდიულ მისამართზე: საქართველო, ქ. თბილისი, ვაკის რაიონი, ფალიაშვილის ქ. #53. ბინა 2.

აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების სააღრიცხვო დღეა 2024 წლის 18 მაისი.

აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრებაში მონაწილეობისა და ხმის მიცემის უფლება აქვთ მხოლოდ იმ აქციონერებს, რომლებიც სააღრიცხვო დღეს ირიცხებიან აქციონერებად.

აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების დღის წესრიგი:

1. თანხმობის გაცემა მასზედ, რომ **საზოგადოებამ** გაასხვისოს შპს „ეი ენდ ემ" ში (საიდენტიფიკაციო ნომერი: 405423224) თავის საკუთრებაში არსებული 50% წილი სრულად (შემდგომში - **წილი**), **წილის** ბ-ნ ვახტანგ ნარიმანიშვილისთვის (პირადი ნომერი: 01018001282) მიყიდვით.

*ვინაიდან ბ-ნ ვახტანგ ნარიმანიშვილი (პირადი ნომერი: 01018001282) გამოთქვამს მზაობას, შეასრულოს 02/12/2020 წ. წილის ნასყიდობის წინარე ხელშეკრულება #200983284 (მასში მოგვიანებით შესული ყველა ცვლილების / დამატების გათვალისწინებით), **საზოგადოების** სამეთვალყურეო საბჭო და დირექტორი რეკომენდაციას აძლევს აქციონერთა კრებას, მხარი დაუჭიროს **საზოგადოების** მიერ **წილის** ბ-ნ ვახტანგ ნარიმანიშვილისთვის (პირადი ნომერი: 01018001282) მიყიდვის საკითხს.*

2. **საზოგადოების** დირექტორისთვის, ქ-ნ ქეთევან დარსაძისთვის (პირადი ნომერი: 01010019286) სრული და შეუზღუდავი უფლებამოსილების მინიჭება, რათა მან, **საზოგადოების** სახელით, ერთპიროვნულად და დამოუკიდებლად, განსაზღვროს შპს „ეი ენდ ემ"-ში (საიდენტიფიკაციო ნომერი: 405423224) **წილის** გასხვისებასთან დაკავშირებული ყველა და ნებისმიერი საკითხი, ამ მიზნით, დადოს, ხელი მოაწეროს და შეასრულოს ყველა და ნებისმიერი გარიგება, თავადვე განსაზღვროს ასეთი გარიგებების შინაარსი და პირობები, და შეასრულოს **წილის** გასხვისებასთან დაკავშირებული ანდა მისგან გამომდინარე ყველა და ნებისმიერი სხვა ქმედება, მათ შორის, ბ-ნ ვახტანგ ნარიმანიშვილთან (პირადი ნომერი: 01018001282) გააფორმოს წილის ნასყიდობის ხელშეკრულება და ყველა სხვა საჭირო და აუცილებელი გარიგება, და შეასრულოს ყველა და ნებისმიერი სხვა ისეთი ქმედება, რომელთა შედეგად, **საზოგადოება** გაასხვისებს, ხოლო ბ-ნ ვახტანგ ნარიმანიშვილი (პირადი ნომერი: 01018001282) შეიძენს **წილს**.

__საზოგადოების__ სამეთვალყურეო საბჭო და დირექტორი რეკომენდაციას აძლევს აქციონერთა კრებას, მხარი დაუჭიროს აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების დღის წესრიგის მე-2 პუნქტად გამოტანილ საკითხს.

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე _____ /ირაკლი მაჭავარიანი/

დირექტორი _____ /ქეთევან დარსაძე/

JSC MFO "ALPHA EXPRESS" * 202340984 * სს მიკრო ფინანსური ორგანიზაცია "ალფა ექსპრესი"